ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №833

20 მაისი 2016 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების საუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 16 მაისის №4671-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან–ქალაქის №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი #1

ლოტის #	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება / დანიშნულება	ფუნქციური ზონები	ს/კოდი	მდებარეობა / მისამართი	ფართობი (კვ.მ.) სიგრძე (მეტრი)	აუდიტის მიერ განსაზღვრული საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)	30%, ბე-ს ოდენობა (ლარი)	5%, ბიჯი-ს ოდენობა (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო ან პირობებიანი)	შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის პერიოდი	შენიშვნა
#1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სზ-2 (საპროექტო)	02.02.05.415	ქალაქი რუსთავი, მე-11 მკ/რ-ის მიმდებარედ	1373	30000	9000	1500	საკუთრების მოწმობის აღებიდან 3 წლის ვადაში, კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტის განთავსება	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	საჭიროების შემთხვევაში, შესყიდული მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში მყიდველი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მათ გადატანას